



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №5
თებერვალი 1 - მარტი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

რატი თინიკაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

გიგი უგულავას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი

2018 წლის 28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი მერი და პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგი უგულავა დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში¹ „თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე“ და 1 წლითა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.² შეფარდებული სასჯელი უგულავას მიმართ სისხლის სამართლის სხვა საქმეზე („თბილსერვის ჯგუფის საქმე“) გამოტანილმა განაჩენმა შთანთქა და მას სასჯელი მოხდილად ჩაეთვალა.³ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ბრალის დამძიმება მოითხოვა, მაგრამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.⁴ 2019 წლის იანვარში პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რომლის განხილვაც ერთი წლის თავზე დაინიშნა.⁵ 2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი, გიგი უგულავა დამნაშავედ ცნო მითვისება/გაფლანგვაში⁶ და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 2 თვითა და 8 დღით.⁷

საიას შეფასებით, საქმეში არსებული ორი ფაქტორი მიუთითებს ხარვეზების არსებობაზე:⁸

1. უზენაეს სასამართლოში საქმის განმხილველ კოლეგიას თავმჯდომარეობდა ახლადდანიშნული მოსამართლე შალვა თადუმაძე, რომელიც იმავე საქმეზე საკასაციო საჩივრის წარდგენისას გენერალური პროკურატორის პოზიციას იკავებდა. პროკურატურის ვერტიკალური მართვის სისტემისა და საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროცესში, დიდი ალბათობით, თავად გენერალური პროკურატორიც იქნებოდა ჩართული. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ეს ეჭვი სასამართლოს არ გაუქარწყლებია;

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

² „თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე გიგი უგულავა სასამართლომ დამნაშავედ ცნო“, საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 28.02.2018, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/256334/>, განახლებულია: 02.03.2020.

³ „გიგი უგულავას საქმე - რატომ მიუსაჯეს პატიმრობა“, საინფორმაციო პორტალი პუბლიკა, 11.02.2010, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LheqK5>, განახლებულია: 02.03.2020.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

⁷ „უზენაესი სასამართლო გიგი უგულავას საქმეზე განცხადებას ავრცელებს“, ტელეკომპანია იმედი, 10.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cjYwe1>, განახლებულია: 02.03.2020.

⁸ „გიგი უგულავას საქმე - რატომ მიუსაჯეს პატიმრობა“, დასახელებული წყარო.

2. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, შეიცვალა იქამდე ორი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საკასაციო ეტაპზე ზეპირი მოსმენა არ ჩატარდა და მხარეებს პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა არ მიეცათ.

საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესი

2019 წლის 14 ნოემბერს უმრავლესობამ ჩააგდო კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით, ბარიერის გარეშე ჩატარებას ითვალისწინებდა. ამ ფაქტს საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევის მიზნით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა ინიციატივითა და მონაწილეობით, მოლაპარაკებები დაიწყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ჩატარდა 4 შეხვედრა, თუმცა, მხარეებმა საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ მოახერხეს.⁹ მოლაპარაკებების ბოლო, მეოთხე რაუნდი 20 დეკემბერს გაიმართა.¹⁰

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც გიგი უგულავას 10 თებერვალს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა,¹¹ ოპოზიციამ უარი თქვა საარჩევნო სისტემის შესახებ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გაგრძელებაზე.¹² დაწყებული დიალოგის პროცესი შეწყდა.

იმავე დღეს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით გავრცელდა საპარლამენტო ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ განცხადება. კონსენსუსის მიღწევის მიზნით, მათ წარმოადგინეს ოთხპუნქტიანი წინადადება,¹³ რომლითაც გამოთქვეს მზაობა, რომ მხარს დაუჭერდნენ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ მოდელს (100/50) იმ შემთხვევაში, თუ: (1) 2024 წლიდან ძალაში შევიდოდა პროპორციული საარჩევნო სისტემა, (2) 2020-სა და 2024 წლებს შორის ვადამდელი არჩევნები ჩატარდებოდა 2020 წლის არჩევნების მოდელით და (3) ხმის მიცემის ვალდებულება ექნებოდა არჩევნების დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს ყველა მოქალაქეს.¹⁴

17 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე დეპუტატმა გია ჟორჯოლიანმა ხელისუფლებას შესთავაზა, მსჯელობა დაეწყო, მაგალითად, „115/35“ მოდელზე და, მხარდაჭერის მისაღებად, მოლაპარაკება ეწარმოებინა პარლამენტის იმ 28 დეპუტატთან, რომლებიც არც უმრავლესობაში იყვნენ და არც „ნაციონალურ მოძრაობასა“ ან „ევროპულ საქართველოში“.¹⁵ ჟორჯოლიანის განცხადებით, პარლამენტის ამ ნევრთა დიდი ნაწილი ინიციატივაზე მსჯელობის მზადყოფნას გამოთქვამდა.¹⁶

25 თებერვალს ამერიკის ელჩის მოადგილემ საქართველოს მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან, ასევე, დამოუკიდებელ დეპუტატებსა და სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან

⁹ შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნების შესახებ მმართველი გუნდის ინიციატივას პოლიტიკოსები აფასებენ, საინფორმაციო პორტალი civil.ge, 20.12.2019, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/332235>, განახლებულია: 11.02.2020.

¹⁰ „დიალოგის მეოთხე რაუნდი“, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, 20.12.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WFzMX5>, განახლებულია: 11.02.2020.

¹¹ „უზენაესი სასამართლო გიგი უგულავას საქმეზე განცხადებას ავრცელებს“, დასახელებული წყარო.

¹² „ოპოზიციის დიალოგის გაგრძელებაზე უარს ამბობს“, რადიო ჰერეთი, 12.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://heretifm.com/?p=112184>, განახლებულია: 02.03.2020.

¹³ „საპარლამენტო ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ განცხადება 2020-2024 პერიოდისთვის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 10.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wh9UBB>, განახლებულია: 07.03.2020.

¹⁴ იქვე.

¹⁵ „გია ჟორჯოლიანი მმართველ გუნდს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ახალ ინიციატივას სთავაზობს“, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, 17.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zrOQiN>, განახლებულია: 03.07.2020.

¹⁶ იქვე.

არაფორმალური ხასიათის შეხვედრა გამართა.¹⁷ შეხვედრის შემდგომ გაჩნდა საარჩევნო სისტემის ახალი ვერსია – 110/40-ზე. „ქართულმა ოცნებამ“ თანხმობა განაცხადა ე.წ. „40%-იან ჩამკეტზე“, რომლის მიხედვითაც, ამაზე დაბალი მხარდაჭერის შემთხვევაში, არჩევნებში გამარჯვებულ ძალას მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობა არ ექნებოდა.¹⁸ თავის მხრივ, ოპოზიცია განიხილავს დიალოგის გაგრძელების ვერსიას ამ საარჩევნო სისტემისა და „პოლიტპატიმრების“ გათავისუფლების შემთხვევაში.¹⁹ მოსაზრებათა ამგვარმა თანხვედრამ კონსენსუსის მიღწევის პერსპექტივა გააჩინა.

მორიგი არაფორმალური შეხვედრები გაიმართა 27 თებერვალს ევროკავშირის ელჩის,²⁰ ხოლო 28 თებერვალს – გერმანიის ელჩის რეზიდენციაში.²¹ მოლაპარაკებებს ხელისუფლების, ოპოზიციისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრიდან გამოსული პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ კონკრეტულ საკითხზე არ შეთანხმებულან, თუმცა, ყველა მხარე დგამდა ნაბიჯებს კონსენსუსის მისაღწევად.²²

თუმცა, ვინაიდან, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თანდათან მცირდება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების პერსპექტივა, საია მოუწოდებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ საარჩევნო სისტემაზე კონსენსუსის მისაღწევად.

¹⁷ „მთავრობის, ოპოზიციის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს“, საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 25.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/429890/>, განახლებულია: 07.03.2020.

¹⁸ „ოცნება“ 40%-იანი მხარდაჭერის პრინციპზე თანახმაა – მდინარაძე“, საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 27.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/430337/>, განახლებულია: 07.03.2020.

¹⁹ „40%-ზე მეტი მხარდაჭერა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება – ბოკერია“, საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 27.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/430380/>, განახლებულია: 07.03.2020.

²⁰ „რაზე ისაუბრეს „ოცნებამ“ და ოპოზიციამ არაფორმალურ შეხვედრაზე“, საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 27.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/430277/>, განახლებულია: 07.03.2020.

²¹ „როგორ დასრულდა არაფორმალური შეხვედრა მმართველ გუნდსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის“, გაზეთი კვირის პალიტრა, 29.02.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WKbHhN>, განახლებულია: 07.03.2020.

²² იქვე.